# ესკოს ვებ-გვერდზე კაბინეტის შექმნის ინსტრუქცია

საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე კვალიფიცურ საწარმოდ რეგისტრაციცია ხორციელდება ელექტრონულად, ესკოს ვებ-გვერდზე (www.esco.ge) არსებული ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

იმისთვის, რომ მოითხოვოთ საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე კვალიფიცურ საწარმოდ რეგისტრაციცია, მაძიებელს, ესკოს ვებ-გვერდზე (www.esco.ge), უნდა ჰქონდეს გახსნილი „პირადი კაბინატი", საიდანაც მოითხოვს კვალიფიცურ საწარმოდ რეგისტრაციას და ატვირთავს სარეგისტრაციოდ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

## ➢ ესკოს ვებ-გვერდზე კაბინეტის შექმნა

საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე კვალიფიცურ საწარმოდ რეგისტრაციისთვის, მაძიებელმა, პირველ რიგში, ესკოს ვებ-გვერდზე (www.esco.ge) არსებულ ელექტრონულ პლატფორმაზე უნდა გაიაროს რეგისტრაცია და შექმნას პირადი კაბინეტი.

კაბინეტის შექმნის მზინით, ესკოს ვებ-გვერდზე (www.esco.ge) უნდა დააჭიროთ ღილკს **„ავტორიზაცია"** და შემდგომ **„მაძიებლად რეგისტრაცია".**






**„მაძიებლად რეგისტრაცია“** ღილაკზე დაჭერის შემდგომ გამოჩნდება გრაფები, რომელშიც უნდა მიეთითოს საწარმოს მონაცემები.




საწარმოს მონაცემების შევსების დროს აუცილებლად უნდა აიტვირთოს საწარმოს ხელმძღვანელის ან/და მინდობილი პირის ხელმოწერა. საწარმოს ხელმძღვანელის ან/და მინდობილი პირის ხელმოწერის ატვირთვის შესაძლებლობა გამოჩნდება, მას შემდეგ, როდესაც გრაფაში **“როლი“** მონიშნავთ **„უფლებამოსილ პირს“.**







საწარმოს მონაცემების შევსებისა და საწარმოს ხელმძღვანელის ან/და მინდობილი პირის ხელმოწერის ატვირთვის შემდგომ დააჭერთ ღილაკს **„რეგისტრაცია“** და აღნიშნულით დასრულდება **„პირადი კაბინეტის“** შექმნის პროცესი. **„პირადი კაბინეტის“** შექმნის პროცესის დასრულების შემდგომ, მაძიებელს/საწარმოს უკვე ექნება შესაძლებლობა ატვირთოს განაცხადი საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე კვალიფიცურ საწარმოდ რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე და ატვირთოს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერი პირი არის მინდობილი პირი, საწარმოს ხელმძღვანელი პირის მიერ გაცემული მინდობილობა აუცილებლად უნდა იქნეს წარდგენილი ესკოში (ოფიციალური წერილით ან ელექტრონულ ფოსტაზე: atomaradze@esco.ge ან mbakuradze@esco.ge).

**„უფლებამოსილ პირს“** მისი პირადი კაბინეტიდან შეუძლია საკუთარ თანამშრომლებს გაუხსნას „პირადი კაბინეტები“: **„წარმომადგენლის“** ან **„დამთვალიერებლის“** სტატუსით.